

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქი შეილის სახლში, ან მანტოლა რედაქციის: მელიქი შეილის სტამბაში, მანათლის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტონში, მარტში მცხოვრებთათვის: В. Тиндль. В. редакцію газ. „Дროзба“.

გაზეთის ფასი: მთელი წლი — 5 მან., ნახევარ წლისა — 3 მან., და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან., ერთ თვის — 1 მან.

მედიკალური და მრავალთხრილი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. ფასი განცხადებისათვის: კითხვით ასობზე — 1 კაპ., ასობითვერსული სტრიქონზე — 3 კაპ., ჩვეულებრივის სტრიქონზე — 5 კაპ., პატრა — 4 კაპ.

დროზბა

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქციის უფლება აქვს გასწავროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ვერცხვან არ დაუბრუნდება.

სხუთი თვის ხელის-მოწერა

„დროზბა“

პირველი ავგოსტოლა ვიდეა 1878 წლის პირველ იანვრამდე

მიიღება მთელი წლი, „დროზბის“ რედაქციაში (მანათლის ქუჩაზე, სტ. მელიქი შეილის სტამბაში), სხვა ქალაქებში „დროზბის“ აგენტებთან.

ფასი სხუთი თვის გაზეთისა — 4 მან.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: В. Тиндль. В. редакцію газеты „Дрозба“.

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ავგენტებს, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მოწერაზე ანგარიში ჯარს კიდევ გასწორებული არა აქვთ, რაც შეიძლება მალე გასწორონ ანგარიში და ხედალი უშლი გაზეთისა გამოგზავნონ რედაქციაში.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

მუხუშ დარა, 8 აგვისტოს დღეს დილით, აღრინათ ცხენოსანი ჯარის მსურველებით, ჩინებით და ნიყვ გოროდის დრაგუნებით ღენ. მაიორი არტუ ჩერმოვეი დეცა სუბოტანის წინა ბანაკებს; დახოცა მტრის მხრით ასს კაცადე, 27 დაამტყვევა: ამათ შორის იმ ბანაკების უფროსი რეზიდენტიც, 30 ცხენი აუარებელი იარაღი და დაბრუნდა უკან. ჩვენის მხრით გაკაწრულები არიან: ნიყვ გოროდის პოლკის ესკადრონის უფროსები შიტტე და ჩერნიშევი.

მინა, 8 აგვისტოს, როგორც სტამბოლიდან მოსული ამბებით ცტყობულობით მიუსტენჯაში ათი ათასი თათრის ჯარი გამოსულა, იმ განზრახვით, რომ ჩერნოვოდის დაეცეს, საითკენაც, მაგმაკის გზით, ამათ გარდა, კიდევ 8 ათასი კაცი მიდისო.

რუსის ავგები

აზიის ბრძოლის ველიდან

7 აგვისტოს მთელი წლი მოსულმა ტელეგრაფმა მთურუქ-დარიდამ შემდეგი ამბავი მოგვითხრო. გუშინდელს ჩხუბში მოგვიკლეს: 1 აფიცერი და 76 სალდათი; დაგვიჭრეს; 4 აფიცერი, ერთი პორტუგალი იუნკერი და 267 სალდათი; გავიკაწრეს 3 აფიცერი და სალდათები კი არ ვიცით რამდენი. მორაპორის იარაღის ექიმებმა ბევრს დაჭრილებს გასახეთქათ შეზავებული ტყვიებით ამოუღეს იარაღებამ, რომლებთაც მთავრობას წარუდგენს. მათრები გუშინ და დღესაც ჰკრფენ თავიანთ მკვლრებს და დაჭრილებს და შარსში მიაქვთ.

„ბირვისკააგენტოს“ შემდეგ ამბავს სწერენ მთურუქ-დარიდამ: შარსში ამ დამდ ერთობ გავრცელებულია ხურება, ასე რომ მსალოს მთელი იქაური გარნიზონი, იძულებული იყენენ, ქალაქი დამ გაეყვანათ. ისინი დაბანაკდნენ მატრას მახლობლად მატრაში, ამრამდენიმე დღის წინეთ რუსის უმთავრესი კვარტირა იყო. ძრეელ დარწმუნებით ამბობენ, რომ მუხთარ-ფაშას არტანე მოსელა უნდაო. მუხთარ-ფაშას უმთავრესი ძალა მიზინქევი არის დაბანაკებული.

მენი დამ იწერებიან ინგლისურს გაზ. „Daily News“-ში: მუხთარ-ფაშას არმიადამ 26 ბატალიონი რეგულიარული ჯარისა გარდიყვანეს მარნაში, შუმლასა და აღრინაპოლში. ამათ მაგიერ, მას მოსელა ირრეგულიარული ჯარი, რომელთაც, როგორც ამბობენ, ბევრი ძლიერი ცუდი თვისებები აქვთო.

მკროპის ბრძოლის ველიდან

მთელი წლი მოვიდა ბუზარესტიდამ შემდეგი ტელეგრაფმა: ბენ. ბურკო გვარწმუნებს, რომ რუსების ბანაკები ღენი დამ, ვიდრე შიპკინის გასაველამდინ, ისეთი მძლავრი არიანო, რომ მსალოები მათ-

ზე მოსელას იერიშით ვერ გაბედავენო. — მათრებმა ძიელ მაგრათ მოიღვეს ფინი პლენაში, მაგრამ მსმან ფაშის მდგომარეობა, მაინც ერთობ გაჭირებული არის, რადგან 80 ათასიან რუსის ჯარმა მოსპოს სოჭინათან მისაველელი გზა და, ამაირად, სურსათის მისაღები საშუალებაც. რუსები ღობრუჯი დამ არ გამოდიან. ბენ. სიმერმანს მუშა მძალა ემატება და ამ ცოტა ხანში მას უნდა თავთ მივიდეს მტერზედ, არ ცალოს სანამდისინ ისინი დაიწყებდნენ ომს.

მსალოს არმიასი მყოფი გაზ. „Times“-ის კორესპონდენტი იწერება შუმლიდამ: დღეს (26 ივლისის) დილით რუსის ორმა ცხენოსანმა პოლკმა და ერთმა ბატალიონმა ქვეითა ჯარმა, იერიშით მივიდა მსალოს გამაგებულ ბანაკზე მახლობლან, მაგრამ რუსები უკუღვენილნი შეიქმნენ პოპკესკენ. ცოტა ხნის შემდეგ იერიშით მისელა, რადგან ჯარებიც მოემატათ, კიდევ ვაიმეორეს, მაგრამ ხელმეორეთ იძულებული იყენენ უკან დაეხიათ. მრთავეს მხრით დიდი ზარალი მოხთა.

ინგლისური გაზ. „Daily Telegraph“-ის კორესპონდენტი ვეცნობებს შუმლიდამ, რომ რუსის ჯარები მსმან-ბანაკზე დაეცემას ეშხადებო.

შუმლიდამ სწერენ ინგლისურს გაზ. „Daily News“-ს, რომ ამ ქალაქის მცხოვრებლებს სულთანისათვის მადლობა შეუთვლიათ ტელეგრაფში, მენმედ-ალი-ფაშის დანიშენისათვის მომქმედ არმიის სარდლათ. მენმედ-ალი-ფაშას დაუთვლიერებია შუმლის სიმაგრე და ძრეელ ყმაყოფილი დარჩენილან.

შენის გაზ. „Politische Correspondenz“-ში სწერენ ბუზარესტიდამ: გენ. სიმერმანი თავის ჯარებით ჩერნოვოდის მადლობებზე დაბანაკდა მეჯლიგსა და მიუსტენჯის შუარკინის გზის სიარული ისევ აღადგინეს. მეჯლიგში და მიუსტენჯიაში რამდენიმე რუსის პოლკი არის, არტილერიითა და მხოლოდ ერთი ნაწილი სიმერმანის ჯარისა თავ ჯარებს შეუ-

რთდა.—რუმინის—ჯარებში სულ 30 ათასი კაცი თუ იქნებაო. ამათი მინისტრ-პრეზიდენტი, ბრატინი ამ ვამად რუსეთის იმპერატორის უმთავრესს კვარტირაში იმყოფებაო.

—პეტერბურლის ნემენსტუის გაზეთში სწერენ მენიდა, რომ სულემან-ფაშამ 26, ივლისს, ბალკანის მთებში სელიმნოსტნიკის გასავალი დაიჭირაო და ბეროვნის დაჭერასაც ემზადებაო.

—მენის გაზეთში „Fremhenblatt“-ში იწერებინან ორმოციდამ, რომ მათრებმა ჯავშნინი გემებიდამ ქუ ტენჯის ყუმბარების დაშენა იმიტომ მიატოვეს რომ მ გემებზე სამყოფი ჯარი არ ჰყავდაო.—ვინცობაა, რომ ნაპირზე გასულ იქნენ, ან ცოტა ჯარით იერიშით ვერ მოადგებოდნენ ქალაქსაო. ნიშის ციხე თათრებს დაუტლიათ და იქაური ჯარი პლენენაში გადაუყვანიათ.

საქართველო

დღიური

* * * ბორის უფლიდამ მოსულმა კაცმა გვიამბო, რომ ის არა-ხანგრძლივი წეი-მა, რომელიც ორის დღს განმავლობაში ჩვენი ქალაქის ახლო-მახლო იყო, როგორც ამბობენ, მთელს მართლშიაც ყოფილა.—ძრიელ ხელი მოგვიწყო ამ წვიმებმა, გვიხარა იმ კაცმა... წარმოიდგინეთ, რამ მთელს მართლში უწვიმობისა გამო, ტყეებშიაც კი დასკდა დედა მიწა, ისეთი გვალვები იყო. პატარა წყლები თუ სადმე იყო სრულებით ამოშრა და თუ სადმე იზოვებოდა ევენახეზის სარწყავათ, ისეც ერთს აყალ-მაყალს და ვაი ვაგლანს სტენდა მეზობლებში.—მინც მოაწრებდა ის სარგებლობა და რწყავდა თავის ვენახებს და ბაღებს.. ამ წვიმებმა კი ეხლა გვალვასაც აგვაშორა და აყალ-მაყალსაც.

* * * წარსულ შაბათს, დღე ფერისკვალებას, იყო მფილისის საზაფხულო ტეატრში წარმოდგენა, მფილისის გემნაზიაში კურს-შესრულებულს ღარიბი ყმაწვილის სასარგებლოთ, რომელიც რუსეთში წასვლას და მაღალი სწავლის მიღებას ეპირებაო.—ჩვენ ნამდვილათ გავვკვთ—ვინც არის ეს „ღარიბი ყმაწვილი კაცი“ და რა ღარიბი მშობლების შვილიც ის არის.—ძრიელ ვსწუხვართ, რომ, იმ საზოგადო საქმისათვის დახმარებითაც, რომელსაც ჩვენი მფილისის საზოგადოება ასე დურწათ და იშვითად იჩენს, ისევე იმისთანა ყმაწვილი კაცების მშობლები სარგებლობენ; რომელთაც იმდე-

ნათ არ უჭირსთ, რომ ერთი შვილი შეინახონ გაზარდონ და სადმე მაღალს სასწავლებელში.

* * * ოსურგეთიდან დაბეჭდილ კორრესპონდენტში მკითხველი წაიკითხავს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ოსურგეთისა და იმის ახლო მახლო სოფლების მცხოვრებლები „მუცელ ბატონების“ სახადისაგან.—კორრესპონდენტი ყველა იქაურს მოთანამდებე პირებს უჩივის, რომ ისინი ამ გაჭირვებულს ხალხს ყურს არ უდგებენ. ეს ჩვენ სრულებით არ გვაკვირებს, რადგან ვიცით, რომ ეს მოთანამდებე პირები ხალხს სხვა დროსაც არ ეხმარებიან, არამც თუ გაჭირვების დროს ხელი მოუშობიან მათ.—მაგრამ კორრესპონდენტში შესანიშნავი ის გარემოებაა, რომ ერთი მოთანამდებე პირთაგანი, პირდაპირ თავისი მოვალეობის აღსრულების მაგიერ, პოდრიადების აღებას მიჰყოლია და ამას ანდომებს თავის შრომას და დროებსაო. ამგვარი საჩივარი, ე. ი., რომ სხვა დასხვა თანამდებობის პირები პოდრიადებს იღებენო და თავის პირდაპირ მოვალეობებს კი გვერდზედ სდებენო, ოსურგეთის მაზრიდან ამჟამად ძრიელ ბევრი მოგვდის, მაგრამ იმათ ძრიელ სიფრთხილით ვაძლევთ ადგილს ჩვენს გაზეთში.—საკვირველია, რომ იქაური მახლობელი მართებლობა ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას და პოდრიადების აღების ნებას აძლევს იმისთანა კაცებს, რომელთაც, მართებლობისაგან ან თავის საზოგადოებისაგან, უფრო საზოგადო და საქირო საქმე აქეთ მინდობილი.

* * * დღევანდელ ნომერში, რომ ოსურგეთიდან მოსული ამბავი დაბეჭდეთ, იმის მგზავი ამბავიც დღეს საჩხერიდამ მოგვივიდა.—როგორც ოსურგეთში, ისე საჩხერეშიაც საზოგადოთ ზემო იმერეთისაკენ „მუცელ-ბატონებს“ ერთობ უჩივიან. ჩვენი კორრესპონდენტი, სხვათა შორის, ამბობს, რომ, ომიანობაზე უფრო, ჩვენებურ ხალხს დღეს ეს სახადი ჰკლავსო.—ოსურგეთელი კორრესპონდენტისავით ესეც უპატრონობას უჩივის: „პატრონი არაინ გვეყავს, რომ ექიმი გამოგვიგზავნოს“—ამბობს ის. საკვირველია, რომ ყოველი მხრიდან უექიმობას უჩივიან. მართალია, ამ ომმა ბევრი ექიმი მოინდომა, მაგრამ, რამდენათაც ვიცით, სამოქალაქო სამსახურის ექიმები მართებლობას არ მოუთხოვნიან! მაშ, სად არიან ისინი? სად სკამენ სახელმწიფო ფულს? ექიმის მაგიერ საჩხერეში, როგორც ხვენი კორრესპონდენტი გვწერს, ვიღაც ერთი ბიჭი შვილი გამოჩენალა და ის ექიმობს თურმე ანატოლიაში.

და ფრხილებითაო, რომ ექიმს მას ვითომც თავათ ქაჯისათვის მრუჭიონა მს გარემოება რამდენათაც სასარგებლო, რამდენათ სამწუხარო არის.

* * * შვეიცარიის კორრესპონდენტი გვწერს: ეს ერთი თვე იქნება ზემო იმერეთში ერთი ცვარი წვიმა არ გარდმოვარდნილა. სიმბილი ისეთაც ნივანიები იყო და, უწვიმობის გამო მაინც, სრულებით ამოხმა, ისე, რომ ტარების გამოღებაც ვერ მოასწრეს. დღეს რომ მ აგვისტოა, უცბათ საშინელი წვიმა მოვარდა და ერთხელ კიდევ რომ ასეთი წვიმა გვესტუმრებოდეს, მგონი გამოვგებოვდეს ზოგი ტარნახული. აქა იქ ყავილიც (ავანტურაობა) გაჩნდა ზემო იმერეთში. საქონლას პირი ხომ საზოგადო სენათ გარდიკადღეს საქართველოში და ზემო იმერეთს როგორ ასცილდებოდა.

* * * ორშაბათს ღამის თერთმეტს საათზე გაჩნდა საშინელი ცეცხლი შიოგვის სახლებში, ბოლოვინის პროსპექტზე. მთელი სახლი მაღაზიებით გამოიწვარია. ცეცხლსი ჩვენმა განთქმულმა ცეცხლის მაქრობელმა კამანდამ მეორე დღესაც ვი. გუშინაც ვერ გააქვრეს, ძამანდამ, მართლა, რა ჰქნას, თუ ცეცხლის საქობი მაშინები არ ექმნებათ?—უფრო დიდი ზარალი ზედა ეტაჟის მდგმურებს მიეცათ, ვინემც ქვედა ეტაჟის ეატრებს, რადგან ამათ საქონელი ცეცხლისაგან საზღვევ საზოგადოებაში ჰქონიათ მიცემული.

„დროების“ კორრესპონდენცია

ოსურგეთში, 30 ივლისს („დროების“ კორრესპონდენცია). ოსურგეთში და მის ახლო-მახლო სოფლებში, რომ „მუცელ ბატონებისაგან“ ამჟამად ზარალი არის, ღმერთმან იმისთანა ზარალისაგან იხსნას წელს ყოველი გარდაჩენილი ადამიანი, რომ კიდევ როდისმე ამისთანა რამეს მოასწრებოდეს.—ისე ეკლესიაზედ ვერ გაბრძანდებით, რომ ხუთიდან თხუთმეტამდინ მუცელ ბატონებით ახალი დამარხული მიცვალებული არ ნახოთ. ზოგს სოფლებში, როგორც მაგალითად ნიგოთის საზოგადოებაში, ხშირათ მეტსაც ნახავთ. აქ ს. ნიგოთში ისე ვერ სად გაივლით, რომ ყოველის მხრიდან არ მოგვემასთ მოთქმა. ნიგოთში და ლანჩხუთის საზოგადოებაში რაც სენახეები და ხალხის ტანჯვა მევენახე, მგონი გულ გაქმევებულ კაცსაც კი შეაწუხებდა და აატრებდა.—მცს მოსახლე გლეხში ერთს ოჯახს ვერ ნახავთ, რომ ეს სახადი არ ედგას ოჯახში, ან რომ რომელიმე იმათგან ან შვილი-

ან ცოლი ან მამა, ან ღედა არ შეეწი-
როს მსხვერპლად ამ ანანტყოფობისათ-
ვის. — ამისთანა მდგომარეობაში არის
ხალხი, მაგრამ ვინ ჰყავს ბატონი! ოჲმც
არაფერი ნება და უფლება მქონდა, მაგ-
რამ ერთობ შემაწუხა ამ გაჭარებულე-
ბის წახვამ და ეუთხარი მამასახლისს-რა-
ტომ ის არ ეხმარება თავის საზოგადოე-
ბას; — შენი მოვალეობა მარტო ის ხომ
არ არის, რომ გლეხებს გადასახადი გარდახ-
დევინო ან სამუშეოარში გაიწვიო-თქო,
ეუთხარი მამასახლისს? — რატომ არს ცდი-
ლობ, რომ უეზდის უფროს შეატყობი-
ნო, რომეექიმო ან იმის ფერმალი გა-
მოგზავნოს და ჭრამე შეღვათი მისცეს
ხალხს-ათქო“ დ სხვა ბევრი ამისთანა ეუთ-
ხარი მას, მაგრამ ის ყურსაც არ აპარტყუ-
ნებდა. „მაგას ჩვენთვის სად სკალან-
შენი ჭირი, მითხრა ერთმა ნიმოეთელ-
მა გლეხმა. მაგას, შენიჭირი, ოცამდი
ფოდრიადები აქვს აღებული, ჩაღვად-
რები გაიმართა, ვილაც ჩხიკვაძე იშოვა
შემწედ და არის თავის თვის“. მწერლე-
ბი ამბობენ უკანასკნელი 3000 ათასი
მანეთი მაინც ექნება თვეში შემოსავალიო.
ამისთანა გაჭრობასთან ჩვენ რას დაგვე-
ძებნა“ და სხვა ბევრი ამისთანა მითხ-
რეს იმ შემომოხსენებელს მამასახლისზე.

მართს ოჯახში გუშინ, თავთ მე ვიყავი
მოწამე, მუცელ ბატონებმა ოჯახის უფ-
როსი კაცი მოჰკლა. ღარჩა მარტო ორი
ქალი, და, რომ ვინმე მეზობლისაგან შემ-
წეობა გამოეწეიათ, შექნეს ერთის საში-
ნელის ხმით კვილ-ჩხივილი, მაგრამ მომ-
ხმარე კაცი არ გამოჩნდა. მეტი რა გზა იყო,
შეაბეს ურემში ხარები, დასდევს ზედ მიც-
ვალეული და წაიღეს ეკლესიაზე. მზა-
ზედ საწყლებს ურემის ბორბალი გაუტყ-
დათ და მკვლარი საღვაც ხეში გარ-
დაუფარდათ. ღიდის წველებით, როგორც
იქნა, შეაკეთეს ისევ ურემი, ამოათრიეს
მიცვალეული, დასდევს ზედ და წაიღეს
ეკლესიაზე, საღვაც თავის ხელითვე ამოთ-
ხარეს საფლაფი და მიცვალეულიც და-
მარხეს. — აი რა ამბები ხდება იმისთანა
ადგილებში, რომლებზედაც არც უეზდის
უფროსი და არც მისი პრისტაეები შორს
არ არიან. მაგრამ უეზდის უფროსი, თვე
კი არა, წელიწადი ვაივლის, რომ თავის
უეზდს არ დაივლის. ასე იქცევიან მისი
პრისტაეები და მამასახლისებიც ხომ,
პრისტაეების შემხედვარე, ყურებსაც არ
აპარტყუნებენ.

და ბერმანის იმპერატორებმა ერთი-
ერთმანეთი წახეს. ამ „წახეზე“ ამ ქა-
მად ვაცხარებულ ლაპარაკია სხვა და სხ-
ვა საზღვარ გარეთელი გაზეთებში, რომ-
ლების ზოგიერთს ჰაზრს, საქიროთ
ვრაცხთ, ჩვენი გაზეთის მკითხველებიც
გაეცნოთ. ამ საქმეში ყველაზე მეტი
ინტერესი, ერთი გაზეთის სიტყვით, პე-
სტრო-მენგრიის გაზეთებს აქვთ და, ყვე-
ლა ქვეყნების გაზეთებზე უფრო მეტს
და ვაცხარებით ისინიც ლაპარაკობენო
მაგ. ერთი იმათგანი „Fremden-blatt“
ამბობს, რომ ამ ორთა იმპერატორების
ამ ქამად შეხვედრის შემდეგ, იმათ შო-
რის არცერთი, მათთა სახელმწიფოები-
სათვის საინტერესო და საქირო კითხვე-
ბი აღარ დარჩებიან აუხსნელი, — „იმის-
თანა კითხვები მაინც, განსაკუთრებით,
რომლებს გარდაწყვეტა ორთავე სახელ-
მწიფო მოთავეთა ერთნაირ შეხედუ-
ლობას თხოულობენ“. მაგ. „Presse“-ი
უფრო გულ-გრილად შეჰყურებს ამ
„შეხვედრას“. ის გაზეთი ამბობს მაგ.,
„რომ ამ შეხვედრას მხოლოდ ორივე
იმპერატორებისაგან ერთი-ერთმანეთის
შეგობრობის გამოცხადება ექნება შე-
დგათ და რომ მას არაფერი პოლიტი-
კური მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს
ამაში, სხვათა შორის, ისეც გვარწმუნებს,
რომ არცერთს იმათგან გარეშე სახელ-
მწიფოებთა საქმეების მმართველი მინის-
ტერები არ ჰყავთ.

ამ ზემო მოყვანილ გაზეთებზე უფ-
რო აშკარათა გარდაწყვეტილათ მენის
გაზეთი „Neue Freie Presse“ ლაპარა-
კობს ამ „იშლამი შეხვედრაზე“. ის ამ-
ბობს: „ამ შეხვედრით“ არ შეიძლება
გრამა ანდრიშიმ არ ისარგებლოს, და
იმდენი არ მოახერხოს, იმპერიის უმე-
ტესი ნაწილის სურვილის დასაყმაყო-
ფილებლად, რომ პესტრიის კაბინეთი ვაე-
რიოს ამ ომში და, რასაკვირელია, მსაღ-
ოს მხარე დაიჭიროს. — ამასზე გაზ. „Ne-
ues Wiener Tagblatt“ ამბობს „გრამა
ანდრაშის ამის მოხერხება ამ ქამად
არ შეუძლიან, რადგან იმპერატორი
პილგელმი იშლამი მარტო ბერმანის
წარმომადგენელად კი არ მოსულა, არამედ
იმ მესამე იმპერატორის ინტერესების
დასაცველადაც, რომელიც სამთა იმპე-
რატორებ შუა კავშირის წყევრად ირიც-
ხება“.

ავსტრო-მენგრიის

ავსტრო-მენგრიის სახელმწიფოს შეი-
არალებაზე შემდეგ ამბავს იწერება აუს-
ბურგელი გაზეთის „Allgemeine Zeit-
ung“ ვენელი კორრესპონდენტი; „ავს-
ტრო-მენგრიის ჯარები, რომელნიც შეი-
არალებულნი უნდა იყვნენ, ამ ქამად
სრულებით მზათ არიან და მხოლოდ

ბრძანებას უცლიან, რა უნდა იქონიან და-
ტიგდენ. ტრიესტელ კავშირულ წყევრ-
დმა აღუთქვა მართებლობას, რომ საქი-
როებას დროს ის 20-ს გემით დაეხმარება
მას ჯარების და სამხედრო სურსათების
ერთი ადგილიდამ მეორეში გარდასატა-
ნათ. — ჩვენს გაზეთში წინეთაც იყო
მოხსენებული, რომ ამ პესტრო-მენგრიის
ჯარების შეიარაღებას სრულებით რუსე-
თის წინააღმდეგი დანიშნულება არა ჰქვს
და ეხლაც ეს გვესმის, რომ მართებლო-
ბა მხოლოდ იმ შემთხვევისათვის ემზა-
დება, თუ კი მას ბოსნიისა და ბერცო-
გოვინის ჯარებით მოკავება მოუხთა.

— „ქელნის გაზეთში“ დაბეჭდილია
სტამბოლიდამ 26 ივლისს (9 აგვისტოს)
მოსული ტელეგრაფი, რომლიდამაც
ეტყობულობთ, რომ პესტრიის მართე-
ბლობას ფორმალურად უცნობებია პორ-
ტისათვის, რომ რუსეთს არაფელი
არ უთხოვია რა პესტრიისათვის, სერ-
ბიის შესახებ.

ოსმალეთი

სტამბოლი ამ ქამად დიდს მოუთმენ-
ლობით მოელის აბდულ-მერიმ-ფაშის
და რელიფ-ფაშის სამხედრო წესით განსა-
მართლებას. — სარდალი ძიელ გულგრი-
ლად მოელის თურმე მას, მხოლოდ ის
კი აწუხებსო, როგორც მენის გაზეთი
„Neue Freie Presse“ ამბობს, რომ
იმას იმისთანა რამეებს აბრალევენ, რო-
მელშიც ის სრულებით მართლად გრძნობს
თავის თავსაო. — თავად სარდალი ამას
ამბობს თურმე თავის თავზე: „მე გენე-
რალ — ასიმუსად სრულებით არ ვყო-
ფილვარ, რადგან ბრძანებლები ერთის
მხრით ღოღმა-ბახჩე მყვანდა და მეორეს
მხრით სერასკერიატი. — ხშირად მოხთე-
ბოდა ხოლმე, რომ ერთის ბრძანებას
მეორესი არღვევდა; მაგ. ერთხელ მოხთა,
რომ, როდესაც ცოტა ჯარი მყვან-
და ბრძანება მამივიდა სასახლედამ (ღო-
ღმა-ბახჩედამ, რომ თავს დავეცე აუარე-
ბელს მტრის ჯარს; მეორედ კი, როდეს-
აც ბევრი ჯარი მყვანდა სერასკერია-
ტიდამ ტელეგრაფმა მომიღის, რომ ფენი
არ მოვიცვალო შემოვიდამ. — ამ ნაი-
რად შეკრული ვიყავი. მე სრულებით
არ მეშინია სამხედრო სამსაჯულობისი.
არამც თუ მეშინიან, მე ვითხოვ, რომ
ჩემი გასამართლება სახლობთ, საქ-
ვეყნოთ მოხთეს. ის საბუთები, რომელ-
ნიც მეხელში მაქვს, დამტკიცებენ სრულ-
ლს ჩემს სიმართლეს.“

— ზემო მოყვანილიავე გაზეთის სტამ-
ბოლელ მეორე კორრესპონდენტი იწე-
რება ამავ საგანზე შემდეგს: სარდალის
გასამართლებლათ იქნება შემდგარი სამ-
საჯულო შემდეგის პირებიდამ: ოთხი
მუშირისაგან, ოთხი დივიზიის და ოთხი

ბურული

უცხო ქვეყნები

თუ არ გაცდებით, ჩვენ ვაცნობთ
მკითხველებს, რომ 27 ივლისს (8 აგვის-
ტოს) ქ. იშლამი პესტრო-მენგრიისა

